

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
--------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულებისა ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრულის შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	19
4. შემოსავალი	19
5. კომერციული ხარჯები	19
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
7. მოგების გადასახადის სარგებელი	20
8. ძირითადი საშუალებები	21
9. არამატერიალური აქტივები.....	21
10. მარაგები	22
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
12. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	23
13. საწესდებო კაპიტალი	23
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	24
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
17. პირობითი ვალდებულებები	29
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	29

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ავერსი-რაციონალის“ მეწილეებს და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ავერსი-რაციონალის (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

განსაკუთრებული გარემოებების ამსახველი აზრები

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-16 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებულ წელს კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი მიეკუთვნებოდა დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციებს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.


სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

28 მაისი, 2018



შპს ავერსი-რაციონალი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი	4	31,293,716	28,315,626
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		(17,422,698)	(16,347,222)
სულ		13,871,018	11,968,404
კომერციული ხარჯები	5	(7,100,317)	(7,894,574)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(4,259,746)	(3,995,271)
საოპერაციო მოგება		2,510,955	78,559
საპროცენტო შემოსავალი		236,763	307,475
გაუფასურების ზარალი	11	(317,203)	(1,036,693)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუთროსო სხვაობიდან		(199,076)	582,048
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,231,439	(68,611)
მოგების გადასახადის სარგებელი	7	-	1,239,618
წმინდა მოგება		2,231,439	1,171,007
სრული შემოსავალი		2,231,439	1,171,007

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



მალხაზ კურტანიძე

ფინანსური დირექტორი



ალექსანდრე ჯანაშია

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	9,616,976	10,388,187	11,011,608
არამატერიალური აქტივები	9	482,391	537,528	571,514
გაცემული სესხები		-	2,707,248	2,444,712
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,099,367	13,632,963	14,027,834
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	10	5,887,496	6,282,188	9,167,060
გაცემული სესხები		2,788,638	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	14,782,862	12,503,296	12,414,452
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	160,739	88,885	79,655
სულ მიმდინარე აქტივები		23,619,735	18,874,369	21,661,167
სულ აქტივები		33,719,102	32,507,332	35,689,001
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საწესდები კაპიტალი	13	2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		20,479,899	25,158,460	29,775,419
სულ საკუთარი კაპიტალი		20,481,899	25,160,460	29,777,419
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	7	-	-	1,364,627
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	1,364,627
მიმდინარე ვალდებულებები				
გადასახდელი დივიდენდები		11,020,771	5,225,271	1,128,637
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,216,432	2,121,601	3,418,318
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		13,237,203	7,346,872	4,546,955
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		33,719,102	32,507,332	35,689,001

შპს ავერსი-რაციონალი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2016		2,000	29,775,419	29,777,419
კაპიტალის განაწილება		-	(5,787,966)	(5,787,966)
სრული შემოსავალი		-	1,171,007	1,171,007
31 დეკემბერი 2016		2,000	25,158,460	25,160,460
კაპიტალის განაწილება		-	(6,910,000)	(6,910,000)
სრული შემოსავალი		-	2,231,439	2,231,439
31 დეკემბერი 2017		2,000	20,479,899	20,481,899

შპს ავერსი-რაციონალი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		2,231,439	(68,611)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,088,715	1,119,190
გაუფასურების ხარჯი	6	317,203	1,036,693
მარაგების გაუფასურება	6	293,940	447,636
საპროცენტო შემოსავალი		(236,763)	(307,475)
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		17,196	-
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან		199,076	(582,048)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		3,910,806	1,645,385
სამუშაო კაპიტალის ცვლილება			
მარაგების შემცირება		100,752	2,387,486
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,675,916)	(766,847)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		19,086	(1,447,792)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		1,354,728	1,818,232
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(279,563)	(389,039)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(22,994)
მიღებული პროცენტები		130,955	307,475
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(148,608)	(104,558)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(1,114,500)	(1,691,332)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,114,500)	(1,691,332)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		91,620	22,342
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	12	88,885	79,655
საკუროსო სხვაობის ცვლილების გავლენა		(19,766)	(13,112)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	12	160,739	88,885

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ავერსი-რაციონალი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2002 წლის 11 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ჭიჭინაშვილის ქუჩა #11, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქტების წარმოება. კომპანია პროდუქციას ყიდის როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საზღვარგარეთ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ პირველ ფუნანსურ ანგარიშგებას.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2.2 ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის 28 მაისს გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ (2017 წლის 1 იანვარი) ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე, შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 15-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა, საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლებით”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავალო და წილობრივი ინვესტიცია იზომება სამართლიანი ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები, ასევე, ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობად, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტის სავალდებულო გამოყენება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშის მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღრიცხვად საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიას ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2016 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7949
კურსი 2016 წლის 1 იანვრისთვის	2.3949	2.6169

2.4 შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავლები

ფინანსური აქტივებიდან მისაღები საპროცენტო შემოსავალი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და მისი შეფასება არის შესაძლებელი. საპროცენტო შემოსავალი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელი ფულადი სახრსების შემოდინებას ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებამდე.

2.5 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია როგორ მიეჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორ მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.6 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2.7 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა კომპანიას, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა კომპანია აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მანქანა-დანადგარები	1-32
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10-15
ოფისის აღჭურვილობა	14-19

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 1-28 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

2.10 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. კომპანია იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნებელი მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება შესაბამისი პარტიის ინდივიდუალური დანახარჯებით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.12 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.13 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.14 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

2.14.1 ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მოთხოვნებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიას მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და გაცემულ სესხებს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყიდად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყიდად

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივები რომელთა ინდივიდუალური გაუფასურების შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.14.2 ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიას საწარმოს მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიას მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის რეალური რიდებულების ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულება საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიას ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

2.15 საწესდებო კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას წესდებით. კომპანიას წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.16 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

3.2 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შემოსავალი

შემოსავალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შემოსავალი ადგილობრივი მომხმარებლებისგან	28,774,191	23,625,222
შემოსავალი ექსპორტიდან	2,519,525	4,690,404
სულ	31,293,716	28,315,626

5. კომერციული ხარჯები

კომერციული 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ხელფასი	(6,936,561)	(7,627,638)
ტრანსპორტირება და მიწოდება	(59,971)	(116,316)
სხვა	(103,785)	(150,620)
სულ	(7,100,317)	(7,894,574)

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ხელფასი	(1,713,046)	(1,524,079)
ცვეთა და ამორტიზაცია	(463,125)	(426,321)
პროფესიული მომსახურება	(386,157)	(312,252)
მარაგების გაუფასურება	(293,940)	(447,636)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(244,914)	(139,107)
იჯარა	(179,118)	(151,452)
მიმდინარე რემონტი და ხელშეწყობა	(163,064)	(200,944)
ლაბორატორიის ხარჯები	(138,073)	(117,236)
კომუნალური	(114,342)	(146,595)
ქველმოქმედება	(112,500)	-
მივლინება	(84,302)	(191,616)
წარმომადგენლობითი	(55,713)	(120,496)
საკანცელარიო	(41,235)	(40,644)
ბანკის მომსახურება	(32,737)	(39,837)
ტრანსპორტირება	(24,341)	(20,287)
სხვა	(213,139)	(116,769)
სულ	(4,259,746)	(3,995,271)

7. მოგების გადასახადის სარგებელი

მოგების გადასახადის სარგებელი 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	(125,009)
დროებითი სხვაობების ეფექტი	1,364,627
სულ	1,239,618

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სულ
01.01.2016	313,600	14,443,640	1,146,894	15,904,134
შემოსვლა	-	243,272	145,767	389,039
გასვლა	-	(129,108)	(9,415)	(138,523)
31.12.2016	313,600	14,557,804	1,283,246	16,154,650
შემოსვლა	-	249,401	30,162	279,563
გასვლა	-	(82,789)	(44,435)	(127,224)
31.12.2016	313,600	14,724,416	1,268,973	16,306,989
ისტორიული ღირებულება				
01.01.2016	(73,469)	(4,201,736)	(617,321)	(4,892,526)
ცვეთა	(19,110)	(888,393)	(104,957)	(1,012,460)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	129,108	9,415	138,523
31.12.2016	(92,579)	(4,961,021)	(712,863)	(5,766,463)
ცვეთა	(18,783)	(901,201)	(114,889)	(1,034,873)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	72,396	38,927	111,323
31.12.2016	(111,362)	(5,789,826)	(788,825)	(6,690,013)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
01.01.2016	240,131	10,241,904	529,573	11,011,608
31.12.2016	221,021	9,596,783	570,383	10,388,187
31.12.2017	202,238	8,934,590	480,148	9,616,976

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

თვითღირებულება	პროგრამა	სხვა	სულ
01.01.2016	675,015	157,225	832,240
შემოსვლა	22,994	-	22,994
31.12.2016	698,009	157,225	855,234
გასვლა	(8,080)	-	(8,080)
31.12.2017	689,929	157,225	847,154
დაგროვილი ცვეთა			
01.01.2016	(207,180)	(53,546)	(260,726)
ცვეთა	(47,984)	(8,996)	(56,980)
31.12.2016	(255,164)	(62,542)	(317,706)
ცვეთა	(45,282)	(8,560)	(53,842)
გასვლა	6,785	-	6,785
31.12.2017	(293,661)	(71,102)	(364,763)
საბალანსო ღირებულება			
01.01.2016	467,835	103,679	571,514
31.12.2016	442,845	94,683	537,528
31.12.2017	396,268	86,123	482,391

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. მარაგები

მარაგები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მზა პროდუქცია	1,926,356	1,864,955	2,030,658
დაუმთავრებელი წარმოება	-	527,879	155,953
ნედლეული	1,553,157	1,520,856	4,250,668
სხვა	2,407,983	2,368,498	2,729,781
სულ	5,887,496	6,282,188	9,167,060

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	16,662,614	13,827,579	13,351,709
სულ ფინანსური მოთხოვნები	16,662,614	13,827,579	13,351,709
საექვო ვალების რეზერვი	(2,804,343)	(2,445,828)	(1,393,886)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	13,858,271	11,381,751	11,957,823
არაფინანსური მოთხოვნები			
გადახდილი ავანსები	965,503	1,082,797	548,831
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	65	2,982	5,336
წინასწარ გადახდილი გადასახედები	-	118,055	-
სულ არაფინანსური მოთხოვნები	965,568	1,203,834	554,167
საექვო ვალების რეზერვი	(40,977)	(82,289)	(97,538)
წმინდა არა ფინანსური მოთხოვნები	924,591	1,121,545	456,629
წმინდა მოთხოვნები	14,782,862	12,503,296	12,414,452

სავაჭრო მოთხოვნები ზოგადად არის უპროცენტო ფინანსური აქტივები. დაფარვის მოკლე ვადიდან გამომდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლში შემავალი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ახალი მომხმარებლის მიღების წინ კომპანია აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ვადაგადაცილებული და გაუფასურებული			
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	-	632	68,163
31-90 დღის ვადაგადაცილება	-	281,983	973,651
91-180 დღის ვადაგადაცილება	-	1,147,433	968,365
181-365 დღის ვადაგადაცილება	365,841	1,089,884	69,209
1 წელზე მეტი ვადაგადაცილება	2,769,658	978,528	971,407
სულ	3,135,499	3,498,460	3,050,795
გაუფასურების რეზერვი	(2,804,343)	(2,445,828)	(1,393,886)
წმინდა მოთხოვნები	331,156	1,052,632	1,656,909

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კომპანია სრულად აუფასურებს 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილების მოთხოვნებს, რადგან წარსული გამოცდილებით აღნიშნული მოთხოვნები არ არის ანაზღაურებადი. 1-დან 365 დღემდე ვადაგადაცილებული მოთხოვნებისთვის გაუფასურების მოცულობა გაიანგარიშება წარსული გამოცდილების საფუძველზე, რომელიც გადაიხედება რეგულარულად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ბალანსი წლის დასაწყისში	(2,528,117)	(1,491,424)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების ხარჯი	(317,203)	(1,036,693)
ჩამოწერა	-	-
სულ 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,845,320)	(2,528,117)
ინდივიდუალურად გაუფასურებული	(2,845,320)	(1,267,528)
ჯგუფურად გაუფასურებული	-	(1,260,589)
სულ	(2,845,320)	(2,528,117)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას კომპანია განიხილავს მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ნებისმიერ ცვლილებას. მენეჯმენტს სჯერა, რომ შექმნილი რეზერვები საკმარისია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ასახვისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ვალუტის და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 15.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	112,772	51,380	17,273
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	29,936	31,651	54,256
შემღებელი ფული	18,031	5,854	8,126
სულ	160,739	88,885	79,655

13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მფლობელები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
პაატა კურტანიძე	60%	60%	60%
ნიკოლოზ კურტანიძე	25%	25%	25%
მალხაზ კურტანიძე	15%	15%	15%
სულ	100%	100%	100%

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1,271,182	1,696,429	2,130,060
გადასახდელი ხელფასები	789,620	389,476	790,794
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,060,802	2,085,905	2,920,854
არაფინანსური ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	155,630	-	464,502
მიღებული ავანსი	-	35,696	32,962
სულ არაფინანსური ვალდებულებები	155,630	35,696	497,464
სულ	2,216,432	2,121,601	3,418,318

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტის და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 16.

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიას მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიას ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიას ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხი	2,788,638	2,707,248	2,444,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ნეტო გაუფასურებით	13,858,271	11,381,751	11,957,823
ფული და ფულის ეკვივალენტები	160,739	88,885	79,655
სულ ფინანსური აქტივები	16,807,648	14,177,884	14,482,190

15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

	31.12.2016	31.12.2016	01.01.2016
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,060,802	2,085,905	2,920,854
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,060,802	2,085,905	2,920,854

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიას ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიას მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

გაცემული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 12%, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, გაცემული სესხების-2 დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)**კაპიტალის მართვა**

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიას მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიას მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, ალგებულის სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიას მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიას რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიას ფინანსური მხარისთვის. კომპანიას მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიას ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიას შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენს კომპანიას მენეჯმენტს თავის მოსაზრებას.

კომპანიას მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საკმარისობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017		31.12.2016		01.01.2016	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები						
გაცემული სესხი	2,788,638	-	2,707,248	-	2,444,712	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები						
გაუფასურების გამოკლებით	948,816	-	3,988,049	-	4,482,825	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	29,936	-	31,651	-	35,384	18,872
სულ ფინანსური აქტივები	3,767,390	-	6,726,948	-	6,962,921	18,872

	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	831,555	353,898	1,016,532	493,426	1,362,256	450,667
სულ ფინანსური ვალდებულებები	831,555	353,898	1,016,532	493,426	1,362,256	450,667

წმინდა ფინანსური პოზიცია	2,935,835	(353,898)	5,710,416	(493,426)	5,600,665	(431,795)
---------------------------------	------------------	------------------	------------------	------------------	------------------	------------------

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიას მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიას მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	587,167	(587,167)	(70,780)	70,780
გავლენა კაპიტალზე	499,092	(499,092)	(60,163)	60,163

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი - 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,142,083	(1,142,083)	(98,685)	98,685
გავლენა კაპიტალზე	970,771	(970,771)	(83,882)	83,882

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, გაცემული სესხებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს ავერსი-რაციონალი**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა (გაგრძელება)

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
გაცემული სესხი	2,788,638	2,707,248	2,444,712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	13,858,271	11,381,751	11,957,823
ფული და ფულის ეკვივალენტები	142,708	83,031	71,529
სულ	16,789,617	14,172,030	14,474,064

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

ლიკვიდურობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ერთ წელზე ნაკლები	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
პროცენტის არმქონე ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,060,802	2,085,905	2,920,854
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,060,802	2,085,905	2,920,854

შპს ავერსი-რაციონალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

		31.12.2016	31.12.2016	01.01.2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო კონტროლი	12,898,472	8,603,700	8,795,273
გადასახდელი დივიდენდები	დამფუძნებელი	11,020,771	5,225,271	1,128,637
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლი	25,514	25,182	25,831
		2016	2016	
შემოსავლები	საერთო კონტროლი	28,809,782	23,651,119	
სერვისის შეძენები	საერთო კონტროლი	340,540	320,000	
		2017	2016	
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:		(812,000)	(810,000)	
შრომის ანაზღაურება		(812,000)	(810,000)	

17. პირობითი ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები - 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენდა დაკავშირებული მხარის - შპს ავერსი-ფარმას მიერ აღებული სესხების გარანტორს

სასამართლო დავები - 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას. 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს პირობითი მოგების გადასახადი

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია ბალანსის შემდგომ მოვლენებს.

=

ავერსი  AVERSI



მმართველობის ანგარიშგება

შპს „ავერსი-რაციონალი“

2017 წელი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.....	3
სუბიექტის განვითარების გეგმები.....	4
ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ.....	7
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	8
აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები	8
ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ	11
წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები....	11
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ავერსი-რაციონალის“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 28 მაისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

1 ოქტომბერი 2018

საქმიანობის მიმოხილვა

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ავერსი-რაციონალი“ დაარსებულია 2002 წლის 11 იანვარს, საქართველოში მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე. კომპანია გატარებულია სამეწარმეო რეესტრში ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ და მინიჭებული აქვს სარეგისტრაციო #7/4-1961.

შპს „ავერსი-რაციონალის“ საქმიანობა მოიცავს ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებას და მასთან დაკავშირებულ ქმედებებს, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტებითა და სახელმწიფო კანონმდებლობით. დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი ფარმაცევტული საქმიანობა მოიცავს ბალვ (დაუფასოებელი) პროდუქტის დაფასოებას და შეფუთვას.

კომპანიამ პირველი ფარმაცევტული პროდუქტი ბაზარზე გაუშვა 2005 წელს და ამჟამად, მისი პორტფელი წარმოდგენილია 140-მდე დასახელების და 250-მდე პოზიციის, სხვადასხვა ფარმკოლოგიური ჯგუფის და ფორმის სამკურნალო პრეპარატებით (ტაბლეტები, კაფსულები, სიროფები, ემულსიები, სუსპენზიები, საინექციო ხსნარები და ფხვნილები ფლაკონებში, კრემები, გელები, წვეთები, სპრეები და სხვ.).

კომპანია ახდენს პროდუქციის რეალიზაციას, როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე საექსპორტო ქვეყნებში, ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნები.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის შექმნის ეტაპზე და შემდგომ წლებშიც, საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მისი ევროპული და ზოგადად საერთაშორისო ანალოგებისგან, შპს „ავერსი-რაციონალმა“ დაარსების დღიდანვე შეიმუშავა სტრატეგია დაენერგა სწორედ ევროპული სტანდარტები, რაც განაპირობებდა კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალ ხარისხს, ეფექტურობას და უსაფრხოებას. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების შედეგად, კომპანიამ უმოკლეს ვადებში წარმატებით გაიარა სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, როგორიცაა: ISO 9001, GMP EU და ISO 17025.

კომპანიის მისია არის, „მოსახელობის უზრუნველყოფა ხარისხიანი, ეფექტური და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციით“, რაც ჩადებულია კომპანიის პოლიტიკაში, სტრატეგიულ მიმართულებასა და მიზნებში.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, შპს „ავერსი-რაციონალის“ უმაღლესი ხელმძღვანელობა ყოველწლიურად ახდენს კომპანიის შიდა და გარე კონტექსტის ანალიზს და სამომავლო განვითარების გეგმების დასახვას. თითოეულ საკითხზე ისაზღვრება რესურსები, მისაღწევი შედეგები, გაზომვისა და შეფასება/კონტროლის მეთოდოლოგია.

ამგვარი პრინციპით, 2017 წლის შედეგების ანალიზის საფუძველზე, დაგეგმილია მიმდინარე 2018 წლის განვითარების გეგმები, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია შემდეგზე:

1. საწარმოს წარმადობის გაზრდის მიზნით, კომპანია გეგმავს ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციას (ავტომატური საწარმოო დანადგარების შეძენას), რაც ასევე განაპირობებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას; აღნიშნული ღონისძიების მიღწევით, კომპანია გეგმავს ძირითადად საექსპორტო ქვეყნების გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც ამჟამად არსებული საწარმოო სიმძლავრეებით არ იყო მიღწევადი.

2. რეალიზაციის გაზრდის მიზნით, დაგეგმილია ექსპორტის გაფართოვება, საექსპორტო ქვეყნების ინსპექციის წარმატებით გავლა და საექსპორტო ბაზრების დამატება; ამ მიზნით კომპანიაში უკვე დაგეგმილია ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის სახელმწიფო ინსპექცია, რომლის წარმატებით გავლის შემთხვევაში, აღიარების პრინციპით კომპანიას საშუალება მიეცემა განახორციელოს ექსპორტი არა მხოლოდ აღნიშნულ ქვეყანაში, არამედ სხვა ევროპულ და არა ევროპულ ქვეყნებშიც. ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით, საკმაოდ დიდია მოთხოვნა მაღალი ხარისხის, საქართველოში დამზადებულ მედიკამენტებზე, რომელიც მის ევროპულ და სხვა უცხოურ ანალოგებთან შედარებით გაცილებით ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის, შესაბამისად აღნიშნული მიზნის შესრულება, მენეჯმენტის შეფასებით, მნიშვნელოვნად გაზრდის „ავერსი-რაციონალის“ ბრუნვას საექსპორტო ბაზრებზე.

3. თავად საოპერაციო დონეზე, კომპანიაში დაგეგმილია და აქტიურად მიმდინარეობას ინფორმაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მოდერნიზაცია, სტრუქტურულ ერთეულებს შორის ინფორმაციული ურთიერთკავშირის გაუმჯობესება და ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიზნით კომპანიაში უცხოელი პარტიორების მეშვეობით, იწერება ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა პროგრამულად იმართოს კომპანიის ყველა პროცესი როგორც საოპერაციო, ასევე უმაღლესი მენეჯმენტის დონეზე. აღნიშნული მიზნის მიღწევა უზრუნველყოფს კომპანიის პროცესების გამჭვირვალობას, კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას და ოპერატიულობას.

4. კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს პერსონალი. მათი მუდმივი განვითარების ხელშეწყობა და სტაბილური და სოციალური გარემოს უზრუნველყოფა არის კომპანიის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი მისი დაარსების დღიდან. ამიტომ კომპანიის სტრატეგიული მიზნები ყოველთვის არის ორიენტირებული აღნიშნულ სფეროზე. ყოველწიურად ათეულობით სპეციალისტი გადის ტრენინგებს, ესწრება კონფერენციებს, მონაწილეობს ღებულობს გამოფენებში და იმაღლებს კვალიფიკაციას შესაბამის სფეროებში. 2018 წლისთვის დაგეგმილია 50-მდე თანამშრომლის სტაჟირება/გარე სწავლება სხვადასხვა თემატიკის მიხედვით, რაც წარმატებით ხორციელდება.

გარდა აღნიშნული გეგმებისა, კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ რეგულარულად ტარდება სტრატეგიული რისკების ანალიზი, კომპანიის ყველა დაინტერესებული მხარისა და მათი

მოლოდინების განსაზღვრა, მიღწეული შედეგების დაკმაყოფილების ხარისხის შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.

აღნიშნული ქმედებების საშუალებით, კომპანია უზრუნველყოფს მუდმივ განვითარებას, რაშიც აქტიურად არის ჩართული არა მხოლოდ უმაღლესი მენეჯმენტი, ასევე კომპანიის თითოეული თანამშრომელი.

კომპანიის განვითარების სტრატეგია და მიზნები ეფუძნება ადგილობრივ და საერთაშორისო ფარმაცევტულ ბაზარზე უკვე არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებს, რომელსაც სისტემატურად იკვლევს და აანალიზებს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად იღებდა მონაწილეობას ყველა მნიშვნელოვან ადგილობრივ თუ საერთაშორისო შეხვედრებში, სამეცნიერო თუ პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებში, გამოფენებში, სადაც თავს იყრიდა ბაზრის შეფასების აუცილებელი ინფორმაცია და მონაცემი.

ამ მხრივ განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო კომპანიის აქტიური ჩართულობა „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის“ შესახებ კანონის პროექტის მომზადების პროცესში, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ძირეულად იცვლება და მნიშვნელოვანია, რომ ფარმაცევტულ მწარმოებელთა ინდუსტრიის სახელით, „ავერსი-რაციონალის“ შენიშვნები და კომენტარები განხილული იქნება დარგის განვითარებისა და ბიზნესის ინტერესების კუთხით.


ასევე განსაკუთრებით რელევანტური და მნიშვნელოვანი იყო, იმავე ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, „ავერსი-რაციონალის“ აქტიური ჩართულობა ნაციონალური GMP ინსპექტორატის და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავების პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიის წარმომადგენლებმა, ჯანდაცვის სამინისტროს ინსპექტორებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ GMP ინსპექტორების მომზადების ტრენინგში (მოდული 1, დანია) და ამჟამად დაგეგმილია ქართველი ინსპექტორების მოსამზადებელი სასწავლო ინსპექციის ჩატარება (მოდული 2) სწორედ „ავერსი-რაციონალის“ საწარმოს ტერიტორიაზე.

მივიჩნევთ, რომ აღნიშნული აქტივობებით, შპს „ავერსი-რაციონალს“ უდიდესი წვლილი შეაქვს საქართველოს ფარმაცევტული წარმოების სფეროს განვითარებაში, მის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებასა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწაში.

ასევე კომპანიის განვითარებისა და ქართული ფარმაცევტული პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით, გასულ წლებში, ეკონომიკის სამინისტროს ხელშეწყობით, კომპანია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფარმაცევტული ინდუსტრიის ისეთ მნიშვნელოვან და მსხვილ გამოფენებში, როგორიცაა CPHI - მადრიდი, ბარსელონა, DUPHAT - დუბაი. აღნიშნულ გამოფენებში კომპანია არა მხოლოდ ვიზიტორის სტატუსით იმყოფებოდა, არამედ წარადგენდა საკუთარი პროდუქციის სტენდს და

ასორტიმენტს. აღიშნული აქტივობა მიმართული იყო კომპანიის ექსპორტის პოტენციალის გაზრდისკენ, რაც დღეისათვის კვლავ აქტუალურია და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

ორგანიზაციული სტრუქტურა



თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია

სულ თანამშრომლების რაოდენობა: 1,109

- ქალი თანამშრომელი - 80%
- მამაკაცი თანამშრომელი - 20%
- უმაღლესი განათლება - 99%
- საშუალო სპეციალიზირებული განათლება - 1%

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს „ავერსი-რაციონალს“ ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

შპს „ავერსი-რაციონალის“ საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე, კომპანია ბასს 38-ის შესაბამისად, რაიმე სახის კვლევით-სამეცნიერო საქმიანობას არ ეწევა. კომპანია ახდენს უკვე შემუშავებული და ბაზარზე არსებული ფარმაცევტული პროდუქტების (ე.წ. „ჯენერიული პრეპარატების“) წარმოებას.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არა ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ავერსი-რაციონალის“ მიერ დღეისათვის მიღწეული შედეგები, რაც მას ქართული ფარმაცევტული ბაზრის ერთ-ერთ მსხვილ მოთამაშედ წარმოაჩენს, მდგომარეობს მისი სტრატეგიული და საოპერაციო საქმიანობის მაღალი პაუზისმგებლობის გრძნობითა და გააზრებული დაგეგმვით.

გარდა ფინანსური მაჩვენებლებისა, კომპანიის მენეჯმენტი და სტრატეგია ასევე ძირითადად ორიენტირებულია ბიზნესის 4 მთავარ მიმართულებაზე:

1. წარმოებული პროდუქციის ხარისხი
2. მომხმარებლების კმაყოფილება/მათი უკუკავშირი
3. კორპორატიული კულტურა და პერსონალის როლი
4. მუდმივი განვითარება

შესაბამისად, შპს „ავერსი-რაციონალისთვის“ უაღრესად მნიშვნელოვანია კომპანიის როგორც ფინანსური მაჩვენებლების დადებითი დინამიკა, ასევე ის არა ფინანსური ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ კომპანიის ფინანსურ კეთილდღეობასაც.

ამის გამო, თითოეული ზემოთ აღწერილი მიმართულების კუთხით, კომპანიამ დაარსების დღიდან დაიწყო მუშაობა და დღეისათვის მიაღწია შემდეგს:

1. წარმოებული პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად, შპს „ავერსი-რაციონალი“ დაარსების დღიდან აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო სტანდარტების დანერგვაზე.

დღეისათვის კომპანია ფლობს ევროპული სათანადო საწარმოო პრაქტიკის სერტიფიკატს (GMP EU), რომელიც მოიპოვა 2008 წლიდან. ბოლო სასერტიფიკაციო აუდიტი ჩატარდა 2017 წლის დეკემბერში.

2006 წლიდან კომპანია სერტიფიცირებულია ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ISO 9001). 2017 წელს მოხდა ხელახალი სერტიფიცირება განახლებული სტანდარტის ISO 9001:2015 -ის მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ არსებული სტანდარტების შესაბამისობის საკონტროლო აუდიტები ტარდება ყოველწლიურად, ხოლო 3 წელიწადში ერთხელ ტარდება განმეორებითი რესერტიფიცირება. აუდიტი ტარდება გერმანული კომპანია ტუვ სუდ-ის მიერ. შპს „ავერი-რაციონალს“ ასევე წარმატებით აქვს გავლილი სხვადასხვა საექსპორტო ქვეყნების მარეგულირებელი ორგანოების მიერ ჩატარებული ინსპექტირებები, რომლის საფუძველზეც კომპანია ახდენს საკუთარი პროდუქციის ექსპორტს აღნიშნულ ქვეყნებში.

გარდა ამისა, 2014 წლიდან კომპანიის ხარისხის კონტროლის ფიზიკურ-ქიმიურმა ლაბორატორიამ გაირა აკრედიტაცია ნაციონალური აკრედიტაციის ცენტრის მიერ სსტ ისო/იეკ 17025-ის მიხედვით. განმეორებითი სერტიფიცირება ჩატარდა 2018 წლის იანვარში. იმავე პერიოდში იგივე აკრედიტაცია მოიპოვა შპს „ავერსი-რაციონალის“ მიკრობიოლოგიურმა ლაბორატორიამ.

აღსანიშნავია ისიც, რომ შპს „ავერსი-რაციონალის“ ლაბორატორია, 2010 წლიდან დღემდე ყოველწლიურად წარმატებით იღებს მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში ლაბორატორიათაშორისი კომპეტენტურობის დადასტურების მიზნით (უკრაინა, საფრანგეთი), რაც აქ წარმოებული ხარისხის კონტროლის მეთოდებისა და გაცემული დასკვნების სანდოობასა და მაღალ სტანდარტზე მეტყველებს.

მნიშვნელოვანი და ხაზგასმელია ასევე ის ფაქტი, რომ შპს „ავერსი-რაციონალი“ არა მხოლოდ საკუთარ სისტემაზე ზრუნავს, არამედ იგი მნიშვნელოვან სტანდარტებს უყენებს ნედლეულისა და მასალების მომწოდებლებსაც, რომლებთანაც იგი თანამშრომლობს. ხდება მათი წინასწარი შეფასება, შერჩევა და მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული მონიტორინგის შედეგად შედარებით დაბალი კატეგორიის მომწოდებლებთან თანამშრომლობა წყდება და ხდება მათი ჩანაცვლება სათანადო ხარისხის ალტერნატიული მომწოდებლებით.

2. კომპანიის ხარისხობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს მომხმარებლის კმაყოფილების დონე და იმიჯი ბაზარზე. მომხმარებელთან აქტიური უკუკავშირის უზრუნველსაყოფად, კომპანია რეგულარულად ატარებს სხვადასხვა სახის კვლევებს, რომელშიც ჩართულნი არიან კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის რიგითი მომხმარებლები, სამედიცინო დაწესებულებების პერსონალი, დისტრიბუტორები და სხვ. კვლევისას გათვალისწინებულია პროდუქციის არა მხოლოდ ხარისხობრივი შეფასება, არამედ სხვა მაჩვენებლებიც როგორცაა მაგ. პროდუქციის დიზაინი, ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის არსებობა და სხვ. აღნიშნულის საფუძველზე, შპს „ავერსი-რაციონალი“ ახდენს მომხმარებელთა ინტერესების და მოლოდინების იდენტიფიკაციას, ანალიზს და მათ გათვალისწინებას სამომავლო გეგმებში, რათა მომხმარებელთა კმაყოფილების დონე მუდმივად იყოს მაღალი.

გარდა ამისა, კომპანიაში ევროპული მოთხოვნების შესაბამისად შეიქმნა და ფუნქციონირებს ფარმაკოზედაზხედველობის სისტემა, რომელიც გამოშვებული პროდუქციის თერაპიულ ეფექტურობასა და გვერდითი მოვლენების მონიტორინგს აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ დღემდე მნიშვნელოვანი შენიშვნები ამ კუთხით არ დაფიქსირებულა.

კომპანიაში დანერგილია ასევე რეკლამაციების მართვის (მომხმარებელთა საჩივრის, პრეტენზიის) სისტემა, რომელიც ითვალისწინებს თითოეული პრეტენზიის ძირეულ გამოკვლევას და აღმოფხვრას.

უნდა აღინიშნოს რომ წლების განმავლობაში რეკლამაციების რიცხვი არის ძალიან დაბალი. საანგარიშო პერიოდში მან შეადგინა 4 და ძირითადად უკავშირდება წამლის კომპლექტურობას და არა მის ხარისხს ან გვერდით მოვლენებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეკლამაციის ფაქტი საექსპორტო ქვეყნებიდან არ დაფიქსირებულა.

3. კორპორატიული კულტურა და პერსონალის კვალიფიკაცია, მოტივაცია არის კომპანიის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

კომპანიაში დასაქმებულია მაღალკვალიფიციური პერსონალი ძირითადად ფარმაცევტული და სამედიცინო განათლებით, მათ შორის 9 დოქტორის აკადემიური ხარისხით შესაბამის სპეციალობებში. კომპანიაში დანერგილია პერსონალის სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსური სისტემა, რომელიც ითვალისწინებს როგორც შიდა, ასევე გარე ტიპის სწავლებებს, რაც მუდმივად უზრუნველყოფს არსებული კადრების მაღალი კომპეტენციის შენარჩუნებას.

ამ კუთხით, საანგარიშო პერიოდში კომპანიის 136-მა თანამშრომელმა გაიარა 36 დასახელების გარე სწავლება და აიმაღლა კომპეტენცია. აღნიშნული სწავლებების ნაწილი ჩატარდა საქართველოში, ნაწილი ასევე უცხოეთში. მიმდინარე წლისთვის დაგეგმილია ასევე 50 -მდე თანამშრომლის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება.

გარდა კვალიფიკაციისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს. მიუხედავად მომატებული რისკის საწარმოო უბნებისა და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიისა, დღემდე საწარმოო ტრავმის, ან სხვა რაიმე უბედური შემთხვევის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამასთან კომპანიამ წარმატებით გაიარა ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის მიერ ორგანიზებული შემოწმება (საანგარიშო პერიოდში საკუთარი ინიციატივით, მიმდინარე წელს სავალდებულოდ), რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა წარმოების უსაფრთხოების სისტემის შესაბამისობა თანამედროვე სტანდარტებთან.

კომპანიის მენეჯმენტისთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ შპს „ავერსი-რაციონალის“ პერსონალი ყოველთვის აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვადასხვა სახის არასამსახურეობრივ აქტივობებში, რაც კომპანიის კორპორატიული კულტურის განმტკიცებასა და გუნდურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

„ავერსი-რაციონალი“ ასევე გრძნობს რა სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც ზოგადად, განსაკუთრებით საკუთარი თანამშრომლების მიმართ, აქტიურად არის ჩართული 2 საქველმოქმედო ფონდში, რომლითაც კომპანიის რამოდენიმე თანამშრომელს მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მძიმე პრობლემების მოგვარების კუთხით.

4. მუდმივი განვითარება, კომპანიის მენეჯმენტი და მისი სტრატეგია ორიენტირებულია მუდმივად ცვლადი გარემოსა და მზარდი კონკურენციის პირობებში წარმატებულ ფუნქციონებაზე, რაც მუდმივი განვითარების გარეშე ვერ მოხდება. ამიტომ კომპანიის მიზნები, და განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, ორიენტირებულია სწორედ მუდმივ ზრდაზე და განვითარებაზე.

დამატებით, აღსანიშნავია ისიც, რომ შპს ავერსი-რაციონალისთვის ხარისხობრივ მაჩვენებელს წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების საკითხი, ამ მხრივ დანერგილია ნარჩენების მართვის სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან. შეფასებული და

დადასტურებულია, რომ შპს „ავერსი-რაციონალის“ საქმიანობა არანაირ ნეგატიურ გავლენას არ ახდენს გარემოზე და ქარხნის ირგვლივ განლაგებულ იურიდიულ ობიექტებზე, დაწესებულებებსა და მოსახელობაზე.

ბიზნეს ეთიკის კუთხით, ასევე „ავერსი-რაციონალის“ პოლიტიკაში ჩადებულია ყველა საკანონმდებლო მოთხოვნების სრული დაცვა (არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საექსპორტო ქვეყნებშიც.), ასევე კომპანიის ყველა დონის პარტნიორთან და დაინტერესებულ მხარესთან სამართლიანი და გამჭვირვალე ურთიერთანაშრომლობა, მათთვის საიმედოობისა და ხარისხის გარანტიად ყოფნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლის მონაცემებით, ეროვნული ბიზნეს-რეიტინგების რიგით 41 დაჯილდოვებით, კომპანიამ მიიღო ჯილდო „დარგის ლიდერის“ ნომინაციაში, რაც კომპანიის მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობის დამსახურებული შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

შპს „ავერსი-რაციონალი“ არ არის დაკავებული წილების ან აქციების გამოშვება/შეძენით.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

მომგებიანობის თვალსაზრისით, 2017 წლის შ.პ.ს „ავერსი-რაციონალის“ EBITDA-ს მარჯა შეადგენს 8.5%-ს, რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ საოპერაციო შემოსავალთან; 2016 წლის მონაცემებთან (1.2%) შედარებით გაზრდილია 7.3%-ით.

უკუგების თვალსაზრისით, კაპიტალთან მიმართებაში შეადგენდა 10.9%-ს, რაც 2016 წლის მონაცემებზე (4.7%) 6.2%-ით ნაკლებია.

უკუგება აქტივებზე 2017 წელს იყო – 6.6%, ხოლო 2016 წელს – 3.6%.

საანგარიშო პერიოდში კომპანიის ფინანსური ვალდებულების ფარდობა კაპიტალთან შეადგენს 0%-ს, იგივე, რაც 2016 წელს.

მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 1.78-ს, 2016 წელს იგივე მონაცემი იყო 2.57.

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ისევე როგორც ყველა სფეროში, ფარმაცევტული წარმოების ინდუსტრიაში საქმიანობასაც აქვს თავისი რისკები, რომელიც რეგულარულად ანალიზდება კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის მიერ. ანალიზის შედეგად რისკების კატეგორირება ხდება რამოდენიმე ჯგუფად, რომელთა მონიტორინგი და შემდგომი დაგეგმვა მიტიგაცია ხდება კონკრეტული მიმართულებების მიხედვით, შესაბამისი რგოლის მენეჯმენტის მიერ.

რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების კუთხით, კომპანიაში ყოველწლიურად და საჭიროებისას უფრო ხშირად დგება სტრატეგიული და ოპერაციული რისკების მართვის გეგმები, რომლის ფარგლებშიც რეგულარულად ფასდება შემდეგი სახის რისკები:

- საბაზრო
- საკანონმდებლო
- საერთაშორისო სტანდარტებთან
- პერსონალთან, მის მოტივაციასთან, საკადრო პოლიტიკასთან
- ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან
- შრომის უსაფრთხოებასთან
- გარემოზე ზემოქმედებასთან
- მომხმარებლებთან
- პროდუქციის ხარისხთან
- მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული რისკები.

გარდა ამისა, ასევე ყოველწლიურად კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობა ახდენს კომპანიის შიდა და გარე ფაქტორების, კონტექსტის ანალიზს, რომლის მიხედვითაც დგინდება კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები/რისკები.

ბოლო შეფასება გაკეთებულია 2017 წლის ნოემბრის თვეში, რომლის მიხედვითაც კომპანიის ძირითად შესაძლო რისკებად იდენტიფიცირებულია შემდეგი:

1. ადგილობრივი GMP -ინსპექტორატის შექმნა, რეგულაციების გამკაცრება - რისკად ჩაითვალია იმ კუთხით, რომ არსებობს ბიუროკრატიის ზრდის რისკი, რამაც შესაძლოა შეაფერხოს საწარმოს დაგეგმილი მიზნების შესრულება დროში. ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინსპექტორების კვალიფიკაციის საკითხი, რამდენად იქნება მათი მომზადების დონე თანამდეროვე ბაზრის გამოწვევების და უკვე მრავალი წლის განმავლობაში „ავერსი-რაციონალის“ მიერ დანერგილი ევროპული სტანდარტების შესაბამისი, ხომ არ იქნება განსხვავებული ხედვები და გაურკვევლობები სახელმწიფო ინსპექტორებსა, ევროპულ რეგულაციებსა და ბიზნეს სექტორს შორის.

აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით, შპს „ავერსი-რაციონალი“ გასული წლიდანვე აქტიურად ჩაერთო ინსპექტორების მომზადების პროცესში, სასწავლო ინსპექციისთვის და ინსპექტორების მომზადების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფოსთვის შეთავაზებულ იქნა საკუთარი საწარმოო უბნებიც კი. ამგვარად აღნიშნული საქმიანობა ჯერ-ჯერობით ხორციელდება კერძო სექტორისა და სახელმწიფოს ერთობლივი ურთიერთთანამშრომლობის გზით, რაც ვფიქრობთ რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.

2. შპს „ავერსი-რაციონალი“ ერთგვარ რისკად მოიაზრებდა ასევე, წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის მოსალოდნელი ცვლილებაც, რომელიც გარდა მრავლი დადებითი ინიციატივისა, შესაძლოა ასევე გახდეს ზედმეტი ბიუროკრატიის და გარკვეული სახის არამიზნობრივი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური დანახარჯებისა მწარმოებლების მხრიდან.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად, შპს „ავერსი-რაციონალი“ ასევე აქტიურად იყო ჩართული მოცემული კანონპროექტის შემუშავებაში, დარგის სპეციალისტებთან ერთად დეტალურად იქნა გაანალიზებული კანონის ყველა ახალი მოთხოვნა/ცვლილება და წარდგენილ იქნა შესაბამისი შენიშვნა / რეკომენდაციები. იმედს ვიტოვებთ აღნიშნული რეკომენდაციებს სათანადო ყურადღება მიექცევა საკანონმდებლო ორგანოში, რაც შეამცირებს კომპანიის შესაძლო საფრთხეებს.

3. ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკად განიხილება ასევე ევრაზიის კავშირის შექმნა და GMP რეგულაციების გამკაცრება, ვინაიდან შპს „ავერსი-რაციონალის“ ექსპორტის დიდი ნაწილი სწორედ აღნიშნულ ბაზარზე ხორციელდება, აღნიშნულ კავშირში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე, ბიუროკრატიის და კორუფციის რისკი ვფიქრობთ რომ საყურადღებოა.

აღნიშნული რისკის შესამცირებლად, შპს „ავერსი-რაციონალს“ ამ ეტაპზე არ აქვს რაიმე მძლავრი ბერკეტი, კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს იყოს მიმდინარე ცვლილებების საქმის კურსში და კონკრეტული ქმედებები დაიგეგმება საჭიროების მიხედვით;

4. კომპანიისთვის, ასევე, რისკის სახეს წარმოადგენს ბაზარზე მნიშვნელოვანი წილის მქონე კონკურენტი კომპანიების მხრიდან შესაძლო ქმედებები, რითაც შესაძლოა შეიზღუდოს ჯანსაღი კონკურენციის პირობები. ანტიპიარის შემთხვევა და კადრების გადაბირების რისკი ასევე მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს კომპანიისთვის

აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტი, შიდა რესურსებით, ატარებს ბაზრის კვლევებს, კონკურენტების ანალიზს, პერსონალის მოტივაციის სისტემის შეფასებას და სხვა ღონისძიებებს, რათა შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და გააუმჯობესოს კომპანიის იმიჯი, როგორც დასაქმებულთა შორის, ასევე ზოგადად ბაზარზე.

5. გარკვეული რისკის მატარებელია ასევე ქვეყნის ეროვნული ვალუტის არამდგრადი და არაპროგნოზირებადი მდგომარეობა, რაც კომპანიისთვის აძვირებს უცხოური ვალუტით დადებული ხელშეკრულებების პირობების შესრულებას, ეს კი თავის მხრივ აისახება წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და შედეგად საბაზრო ფასზეც. საკითხის სპეციფიკიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ ამ მხრივ კომპანიას არ გააჩნია პრევენციის მძლავრი ბერკეტი და იძულებულია აღნიშნულ რყევებს უპასუხოს შეძლებისდაგვარად დაბალანსებული ფასთა



ავერსი  AVERSI

პოლიტიკით, რათა მნიშვნელოვნად არ დაზარალდეს არც ბიზნესი და არც დისტრიბუტორი და რა თქმა უნდა არც უშუალოდ მომხმარებელი.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

გენერალური დირექტორი



მალხაზ კურტანიძე